დამტკიცებულია დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის ბრძანებით #04-46 დანართი #3

ცვლილება:

08.06.2017 წლის ბრძანება N 04-56 დანართი N1
29.08.2017 წლის ბრძანება N04-65 დანართი N3
22.11.2017 წლის ბრძანება N04-107 დანართი N1
27.02 .2018 წლის ბრძანება N04-15 დანართი N2
09.07.2018 წლის ბრძანება N04-61 დანართი N4
11.07.2018 წლის ბრძანება N04-62 დანართი N3
2018 წლის 13 ნოემბერი N04-99 დანართი N8
2018 წლის 22 ნოემბერი N04-103 დანართი N8

2019 წლის 16 იანვარი N04-06 დანართი N8

2019 წლის 27 თებერვალი N04 – 18 დანართი N3

2019 წლის 26 სექტემბერი N04-98 დანართი N3

N04-17 (05.02.2020) დანართი N3

N 04-36 (09/03/2020) დანართი N 2

ცვლილება 02-144 15.10.2020

ცვლილება 04-238 18/12/2020

ცვლილება 04-13 01.03.2021 დანართი 2

ცვლილება 04-139 04/11/2021 დანართი 2

ცვლილება 04-158 10/12/2021

ცვლილება N04-17 25.01.2022

ცვლილება N04-53 09.03.2022

ცვლილება N04-52; 09.03.2023 დანართი N8

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა: მევენახეობა და მეღვინეობა

საკონტაქტო ინფორმაცია:
➢ მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
☎ 577 21 50 90
✉ tmkcollege@tmk.edu.ge

მცხეთა

2017

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე:** მევენახეობა და მეღვინეობა/Viticulture and Winemaking
2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროესიული საგანმანათლებლო პროგრამა მევენახეობა და მეღვინეობა** 08105-3
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში/Higher Vocational Qualification in Viticulture and Winemaking

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროებს:

ა) ,,მემცენარეობა და მეცხოველეობა", კოდი 0811, აღმწერი - *„შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანს, მოვლასა და მოსავლის აღებას; ასევე საძოვრების მოვლას, ცხოველების მოშენებასა და კვებას. ის მოიცავს ფერმების მართვასა და ფუნქციონირებას და ასევე გადაუმუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას."*

ბ) ,,საკვები პროდუქტების გადამუშავება", კოდი 0721, აღმწერი - *„შეისწავლის საკვები პროდუქტებისა და სასმელების გადამუშავებასა და შეფუთვას, ასევე საკვები პროდუქტების წარმოებისა და დისტრიბუციის დროს გამოყენებულ მოწყობილობებსა და პროცედურებს."*

4. **მიზანი**

   პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მევენახე-მეღვინე, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. კურსდამთავრებული შეძლებს სანერგეში, ვენახში, მარანში/მეღვინეობის ქარხანაში მუშაობას - ვენახის გაშენებასა და მოვლას, ყურძნის მოსავლის აღებასა და გადამუშავებას, ღვინის მოვლის ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობას - შესაბამისი ტექნოლოგიური რუქებისა და პროცესების მიხედვით, აგროტექნოლოგიური ნორმების დაცვით. სამწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ მევენახე-მეღვინე აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული ცოდნითა და უნარებით, გაეცნობა სფეროს ღირებულებებსა და ეთიკურ ნორმებს.

5. **დაშვების წინაპირობა -** სრული ზოგადი განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

მევენახეობა და მეღვინეობაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საშუალო დონის მენეჯერად მევენახეობის მეურნეობაში, ღვინის საწარმოებში, მარანში, ფერმერულ მეურნეობაში, საკონსულტაციო/საინფორმაციო ცენტრებში, კომპანიებში კონსულტანტად, ასევე შეუძლია მართოს საკუთარი საოჯახო კომპანია, იმუშაოს საშუალო დონის მენეჯმენტის დონეზე ნებისმიერ სახელწიფო და კერძო კომპანიაში, რომლის საქმიანობა მევენახეობასა და მეღვინეობას შეეხება.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 01.21, 01.21.0, 11.02, 11.02.0,

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 6112

7. **სტრუქტურა**

პროგრამა ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს - ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 18 პროფესიულ მოდულს - ჯამური 74 კრედიტის მოცულობით. მევენახეობა და მეღვინეობაში უმაღლესი პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **85 კრედიტი**.

ზოგადი მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2.	მეწარმეობა 3	3
3.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
სულ		**11**
პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	გაცნობითი პრაქტიკა - მევენახე-მეღვინისათვის	1
2.	პრაქტიკული პროექტი - მევენახე-მეღვინესათვის - თეთრი ღვინის დაყენება	5
3.	მევენახეობის ბიოლოგიურ-სამეურნეო საფუძვლები	4
4.	ნიადაგი და ნიადაგის მოვლა	5
5.	ვაზის მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლა	3
6.	საწარმოს მართვა	6
7.	ვენახის გაშენება და მოვლა	6
8.	ვაზის კვება	2
9.	სხვადასხვა ჯიშის ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით	5
10.	ვენახისა და მარნის ტექნიკის მართვა, ტექნიკური მომსახურება და შენახვა	4
11.	მოსავლის აღება და სასაქონლო დამუშავება	3
12.	ყურძნის გადამუშავება და ვინიფიკაცია	6
13.	ღვინის დამუშავების ქიმიური და მიკრობიოლოგიური საფუძვლები	3
14.	ღვინის მოვლა	4

15.	ღვინის ხარისხის შემოწმება, სარეალიზაციოდ მომზადება და რეალიზაცია	6
16.	ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა	4
17.	ყურძნისეული წარმოშობის სხვა პროდუქტების დამზადება	5
18.	ღვინის დეგუსტაცია	2
სულ		**74**

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მოამზადოს სავენახე ნაკვეთი
2. გააშენოს ვენახი
3. მოუაროს ახალშენ და მსხმოიარე ვენახს
4. გაატაროს ვენახის მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლის, ასევე ვაზის კვებაში პრობლემების აღმოფხვრის ღონისძიებები
5. გაატაროს სტრესული ფაქტორების საწინააღმდეგო ღონისძიებები
6. ექსპლუატაცია გაუწიოს და მოუაროს სარწყავ-სადრენაჟო სისტემებს
7. აიღოს ყურძნის მოსავლს და დაამუშაოს სასაქონლოდ
8. მონაწილეობა მიიღოს მეღვინეობის ტექნოლოგიურ პროცესებში
9. დაამუშაოს ღვინო ტექნოლოგიური სქემის მიხედვით
10. მოამზადოს ჩამოსასხმელი ხაზი
11. მონაწილეობა მიიღოს ღვინის ჩამოსხმაში
12. დაასაწყობოს პროდუქცია
13. რეკლამა გაუწიოს და გაყიდოს პროდუქცია
14. აკონტროლოს და მართოს ღვინის მოვლის ტექნოლოგიური სქემები
15. მართოს საშუალო ზომის საწარმო.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამა შემუშავებულია დუალური მიდგომნით, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;

- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მიენიჭება სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

ჩარჩო დოკუმენტი - მევანეხეობა და მეღვინეობა

14. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება:

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის საფუძველზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

16. **კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები:**

- შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“
- შპს - საგურამო ესთეითი
- ფიზიკური პირი რევაზ სანიკიძე

- შპს „39 ქვევრი“
- მარანი „სევსამორა“
- სს „კორპორაცია ქინძმარაული“

16. მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 85 კრედიტი

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისტვის - 115 კრედიტი

16. პროგრამის ხანგძლივობა:

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 141 სასწავლო კვირა

პროგრამის დანართები:

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

დანართი 2-ზღვრული რაოდენობის დასაბუთება
დანართი 3-პროგრამის განმახორციელებლები
დანართი 4-მატერიალური რესურსი
დანართი 5-პროგრამის ბიუჯეტი
დანართი 6– მოდული გაცნობითი პრაქტიკა - მევენახე-მეღვინისათვის
დანართი 7– მოდული პრაქტიკული პროექტი-მევენახე-მეღვინისათვის
დანართი 8– მოდული მევენახეობის ბიოლოგიურ-სამეურნეო საფუძვლები
დანართი 9– მოდული ნიადაგი და ნიადაგის მოვლა
დანართი 10– მოდული ვაზის მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლა
დანართი 11– მოდული საწარმოს მართვა
დანართი 12– მოდული ვენახის გაშენება და მოვლა
დანართი 13– მოდული ვაზის კვება
დანართი 14– მოდული სხვადასხვა ჯიშის ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით
დანართი 15 - მოდული ვენახისა და მარნის ტექნიკის მართვა, ტექნიკური მომსახურება და შენახვა
დანართი 16 - მოდული მოსავლის აღება და სასაქონლო დამუშავება
დანართი 17- მოდული ყურძნის გადამუშავება და ვინიფიკაცია
დანართი 18- მოდული ღვინის დამუშავების ქიმიური და მიკრობიოლოგიური საფუძვლები
დანართი 19- მოდული ღვინის მოვლა

დანართი 20- მოდული ღვინის ხარისხის შემოწმება, სარეალიზაციოდ მომზადება და რეალიზაცია
დანართი 21- მოდული ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა
დანართი 22- მოდული ყურძნისეული წარმოშობის სხვა პროდუქტების დამზადება
დანართი 23 - მოდული ღვინის დეგუსტაცია
დანართი 24 - მოდული ქართული ენა A2
დანართი 25 - მოდული ქართული ენა B1
დანართი 26 – მოდული ინფორმაციული წიგნიერება 2
დანართი 27– მოდული მეწარმეობა 3

დანართი 28– მოდული უცხოური ენა - ინგლისური ენა